სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(მომსახურების შესყიდვა)

ქ. გორი

11 სექტემბერი 2017 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქ. გორის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლების გაერთიანება (საიდენტიფიკაციო კოდი: 418469552) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ **გიორგი პურიჭამიაშვილის** სახით (შემდგომში – შემკვეთი) და მეორეს მხრივ, **ი/მ მედეია თოთაძის** (ს/კ 59001084146) სახით (შემდგომში – შემსრულებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემკვეთის დავალებით, შეთანხმებული ანაზღაურების სანაცვლოთ, შემსრულებლის მიერ შემდეგი მომსახურების გაწევა: 2017 წლის 18-23 სექტეზერს ბელარუსიის ქალაქ მინსკში გასამართი საერთაშორისო ტურნირისთვის წინა მოსამზადებელი სასადილოებისა და საზოგადოებრივი მომსახურებების შესყიდვა 6 ადამიანისთვის 7 დღის განმავლობაში.

2. მომსახურების ობიექტი

2.1 მომსახურების ობიექტია: CPV 55510000 - სასადილოების მომსახურეობები.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. მომსახურების ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

3.2. მომსახურების ობიექტის ღირებულებაა – 840 (რვაას ორმოცი) ლარი.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდები ვადა, ხარისხი და გარანტია

4.1 მომსახურების გაწევის ვადაა – 2017 წლის 11 სექტემბრიდან 17 სექტემბრის ჩათვლით.

4.2 შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემკვეთის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.3 შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს პირადად.

5. მომსახურების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსრულებლისა და შემკვეთის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2. მომსახურების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, თანხის შემსრულებლის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემკვეთს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემკვეთი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. შემსრულებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემკვეთს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. შემსრულებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან – 2017 წლის 20 ნოემბრამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემკვეთი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემკვეთის მხრიდან განახორციელებს ორგანიზაციის დირექტორი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემკვეთი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემკვეთი:

ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის

სპორტული სკოლების გაერთიანება

სკ 418469552

სახელმწიფო ხაზინა TRESGE22

გორი, სტალინის ქ. №11

ტელ : 0(370) 27-91-03

/გ. პურიჭამიაშვილი/

შემსრულებელი:

ი/მ მედეია თოთაძე

სნ 59001084146

მის: ქ. გორი, ალ. მაჭავარიანის ქ. N1, ბ.6

ს.ს. ვითიბი ბანკი ჯორჯია

ბანკის კოდი: UGEBGE22

ანგ : № GE51VT0200000230863602

/მედეია თოთაძე/

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლების გაერთიანება

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 11 სექტემბერი 2017წ.
მიმწოდებელი: **ი/მ მედეია თოთაძის** (ს/კ 59001084146)
ხელშეკრულება: N35

იტერესთაკონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების" მე-8 მუხლის ,,ინტერესთან კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები"შესაბამისად ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლების გაერთიანების თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

დირექტორი:		გიორგი პურიჭამიაშვილი
ადმინისტრაციის უფროსი:		გიორგი ხორბალაძე
საფინანსო განყ.. უფროსი:		ნინო ქილიტაური
შესყიდვების განყ. უფროსი:		დემეტრე დემეტრაშვილი
ღონისძიებების განყ. უფროსი:		გიორგი ნასყიდაშვილი